ნონა გაფრინდაშვილი

ინტერვიუ ტელეფონით

13 ქულა 13-დან!

გუშინწინ, ხუთშაბათს, ჩვენი კორესპონდენტი ა. შეჩინაძე ტელეფონით ესაუბრა ბელგრადის 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეს, მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს. ჭადრაკის ქომაგებისა და „ლელოს" სახელით მან ჭადრაკის დედოფალს დიდი გამარჯვება მიულოცა.

— გმადლობთ მოლოცვისთვის, თქვა ნონამ. — ტურნირის დასკვნით, XIII ტურშიც საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. ა. ნიკოლაუ (რუმინეთი) და კ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია) ყაიმს დასჯერდნენ. მათ მიბაძეს ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვამ და ტ. ბელამარიჩმა (ორივე — იუგოსლავია).

მე მოვუგე ლ. ჟივკოვიჩს, რ. იოვანოვიჩმა — ტ. ვუიანოვიჩს (სამივე — იუგოსლავია), მ. ტეოდორესკუმ (რუმინეთი) — ი. იორგერს (გფრ), ვ. ასენოვამ (ბულგარეთი) — ე. ბილეკს (უნგრეთი).

დღეს დილით მოეწყო ტურნირის საზეიმო დახურვა. მე რამდენიმე დღით ვრჩები ბელგრადში მასპინძელთა თხოვნით ერთდროული თამაშის სეანსების ჩასატარებლად. 31 მარტს აუცილებლად შინ ვიქნებით, რათა დავესწროთ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მატჩს თასზე.

ჩვენი კომენტარი

ნონა გაფრინდაშვილმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. ხუმრობა როდია, მოუგო ყველა მეტოქეს ისე, რომ II ადგილზე გასულს 3 ქულით, ხოლო III ადგილის მფლობელს 6 ქულით გაუსწრო!

მსოფლიო ჩემპიონის მიღწევა მრავლისმეტყველია. რა დასამალია, ზოგი ამბობდა: ნონა დაოჯახდა, დედა გახდა, ჭადრაკისთვის ნაკლები დრო დარჩება და წარმატებებიც იკლებსო. საბედნიეროდ, სკეპტიკოსები მოტყუვდნენ. ნონამ, რომელსაც წელიწადია არსად უთამაშია, კვლავ ჭეშმარიტად ვაჟკაცური ბრძოლის უნარი და დიდი ძალა გამოავლინა.

გვეკითხებიან: მოჭადრაკე ქალთაგან ვის მოუგია ყველა პარტია საერთაშორისო ტურნირში? მხოლოდ პირველ მსოფლიო ჩემპიონს ვერა მენჩიკს. მაგრამ ამ დიდებული მოჭადრაკის დროს, 35-40 წლის წინათ, ქალები ძალზე სუსტად თამაშობდნენ ჭადრაკს. მენჩიკი მათ თოლად უგებდა. ჩვენს დროში, ისიც დიდ საერთაშორისო ტურნირში, ყველა პარტიის მოგება თითქმის წარმოუდგენელია. ერთხელ ეს ისევ ნონამ შეძლო, როცა ბევერვეიკის 1963 წლის ტურნირში ცხრავე მეტოქე დაამარცხა.

ნონას ახალი, შთამბეჭდავი გამარჯვება მეტყველებს, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტალანტი კიდევ უფრო დახვეწა და გაბრწყინდა.

თ. გიორგაძე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 60 (4310)

1971 წ. 27 მარტი. შაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	ქულა	ადგილი
ტ. ბელამარიჩი იუგოსლ	1	■	½	0	½	0	0	½	½	½	½	½	½	½	½	5	XII-XIII
რ. იოვანოვიჩი იუგოსლ	2	½	■	0	0	0	1	½	0	½	0	½	1	1	0	5	XII-XIII
ნ. გაფრინდაშვილი სსრკ	3	1	1	■	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	13	I.
ი. იორგერი გფრ	4	½	1	0	■	0	½	½	½	½	0	0	1	½	½	5½	VIII-XI
ა. ნიკოლაუ რუმინ	5	1	1	0	1	■	1	½	1	½	½	1	1	½	1	10	II
ე. ბილეკი უნგრ	6	1	0	0	½	0	■	1	0	½	0	½	1	1	1	6½	IV-VII
გ. იოვანოვიჩი იუგოსლ	7	½	½	0	½	½	0	■	½	0	1	1	1	0	1	6½	IV-VII
ვ. ასენოვა ბულგ	8	½	1	0	½	0	1	½	■	½	½	½	0	½	0	5½	VIII-XI
კ. იოვანოვიჩი იუგოსლ	9	½	½	0	½	½	½	1	½	■	½	½	½	½	½	6½	IV-VII
მ. ტეოდორესკუ რუმინ	10	½	1	0	1	½	1	0	½	½	■	½	½	½	½	7	III
ლ. ჟივკოვიჩი იუგოსლ	11	½	½	0	1	0	½	0	½	½	½	■	½	½	½	5½	VIII-XI
ტ. ვუიანოვიჩი იუგოსლ	12	½	0	0	0	0	0	0	1	½	½	½	■	0	0	3	XIV
გ. კონარკოვსკა იუგოსლ	13	½	0	0	½	½	0	1	½	½	½	½	1	■	1	6½	IV-VII
კ. ვრეკენი ჰოლან.	14	½	1	0	½	0	0	0	1	½	½	½	1	0	■	5½	VIII-XI

ყველა ფინალისტი ცნობილია

ყაზანი, 25 მარტი. სსრ კავშირის მოკრივეთა 45-ე ჩემპიონატში გამოვლინდნენ ფინალისტები ყველა წონით კატეგორიაში. ამრიგად, იმ 203 მონაწილიდან, რომლებმაც რვა დღის წინათ დაიწყეს შეჯიბრება, ჩემპიონის ტიტულისთვის 22 მოკრივე იბრძვის.

აი, ის ფინალური წყვილები, რომლებიც 26 მარტს სპორტის სასახლის რინგზე გამოვიდნენ (დასახელებული არიან წონითი კატეგორიების მიხედვით): სსრ კავშირის ჩემპიონი ა. სემიონოვი (სარატოვი) — ვ. სტრელნიკოვი (ულან-უდე), ბ. ზარიკტუევი (მოსკოვი) — ვ. ზაპოროჟეცი (ნიკოლაევი), სსრ კავშირის ჩემპიონი ა. მელნიკოვი — ი. კულაგინი (ორივე — მოსკოვი), ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სოკოლოვი (ჩებოქსარი) — ბ. კუზნეცოვი (ასტრახანი), სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ხრომოვი — ა. კადირ-ახუნოვი (ორივე — ტაშკენტი), სსრ კავშირის ჩემპიონი ს. კაზარიანი (ერევანი) — თ. ლიფანოვი (კიევი), სსრ კავშირის ჩემპიონი ა. აბდრახმანოვი (ალმა-ათა) — ა. ხოხლოვი (მოსკოვი), ო. ტოლკოვი (კიევი) — ა. შიპილოვი (მოსკოვის ოლქი), სსრ კავშირის ჩემპიონი ი. იოციავიჩიუსი (კაუნასი) — ა. პანკრატოვი (ლენინგრადი), ევროპის ჩემპიონები იუნიორთა შორის ნ. ანფიმოვი (სამარყანდი) — ვ. მეტელევი (ლვოვი), ვ. ჩერნიშოვი (ორენბურგი) — ვ. ინიატკინი (ოდესა).

წოდებები და ჯილდოები — საუკეთესოებს

მოსკოვი, 24 მარტი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა: ლენინგრადელ პარაშუტისტს, მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს ლ. იაჩმენევს, უმაღლეს პილოტაჟში მსოფლიო ჩემპიონებს — მოსკოველ ზ. ლიზუნოვასა და ტულელ ლ. ლეონოვას, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს მძლეოსნობაში, ჩელიაბინსკელ მორბენალს ვ. პოპკოვას.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ მოსკოველ ი. ბაულინსა (ჰოკეი) და ხარკოველ ი. გლადკოვს (ველოსპორტი).

საერთაშორისო კლასის სპორტსმენების მომზადებისთვის ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ სახელოვანი საბჭოთა ფიგურისტების მწვრთნელები ს. ჟუკი და ე. ჩაიკოვსკაია.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

თბილისში, 13 აპრილს

მოსკოვი, 26 მარტი. გუშინ აქ ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო კალენდარული მატჩი ადგილობრივ ცსკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკს" შორის. ლიდერი და მისი უახლოესი მდევარი ოთხთვიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს გაუთანაბრდნენ ერთმანეთს. მოსკოვის არმიელებმა ნევისპირელი კალათბურთელები 7 ქულის სხვაობით დაამარცხეს — 73:66 (33:30).

ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ ოქროსა და ვერცხლის მედლების საკითხი მაინც არ არის გადაწყვეტილი. დებულების თანახმად, ცსკა-სა და „სპარტაკს" შორის დაინიშნა დამატებითი მატჩი, რომელიც მოსკოვის არმიელთა თანხმობით ჩატარდება თბილისში 13 აპრილს.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	წ.	ფ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	22	18	4	1567—1370	18
ცსკა	22	18	4	1759—1542	18
„ჟალგირისი" (კაუნასი)	22	15	7	1796—1710	15
„დინამო" (მოსკოვი)	22	13	9	1721—1622	13
„სტროიტელი" (კიევი)	22	12	10	1636—1571	12
„კალევი" (ტარტუ)	22	11	11	1677—1648	11
„დინამო" (თბილისი)	22	10	12	1689—1760	10
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	22	8	14	1607—1700	8
ასკ (კიევი)	22	8	14	1488—1591	8
ასკ (რიგა)	22	7	15	1595—1708	7
ვეფ (რიგა)	22	6	16	1640—1815	6
რტი (მინსკი)	22	6	16	1501—1639	6

სურათზე: ფირსოვი შაიბის გატანის შემდეგ.

გადაღებულია ტელეეკრანიდან მ. ჭარგარიანის მიერ.

ყაიმების დღე

ბერნი, 25 მარტი. ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში გუშინ ყაიმების დღე იყო.

„ალმენდის" სტადიონის ყინულის მოედანზე პირველნი ფინეთისა და შვეციის გუნდები გამოვიდნენ. მე-4 წუთზე ფინელი კეტოლას მიერ გატანილი შაიბა შვედებმა მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე გაქვითეს (აბრაჰამსონი).

ძალიან მწვავე და საინტერესო ბრძოლის შემდეგ ასევე ფრედ — 3:3 დამთავრდა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩი. შაიბები გაიტანეს: ნოვაკმა, ნედომანსკიმ და ხოლიკმა (ჩეხოსლოვაკია); საბჭოთა მოთამაშეებიდან — მარტინიუკმა, ფირსოვმა და პეტროვმა.

დღეს გაიმართა ერთი მატჩი. შეჯიბრების აუტსაიდერებმა — გფრ-ის სპორტსმენებმა დაამარცხეს აშშ-ს ჰოკეისტები — 7:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 მარტისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	4	3	1	0	32—8	7
შვეცია	4	3	1	0	18—10	7
ფინეთი	4	2	1	1	13—16	5
ჩეხოსლოვაკია	4	1	1	2	18—15	3
გფრ	5	1	0	4	15—33	2
აშშ	5	1	0	4	15—29	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი —

სპარტაკიადებისთვის მზადება

• •

პირადი საქმე დროებით დავივიწყოთ

თბილისის არმიელ მონადირეთა საზოგადოების სტენდზე ორ დღეს გაგრძელდა საქართველოს თასის გათამაშება სასტენდო სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „ლოკომოტივის“, „კოლმეურნის“, „განთიადისა“ და მასპინძელთა ნაკრები კოლექტივების 40 სპორტსმენი. გუნდური ჩათვლის მისაღებად თითოეულ მესტენდურეს 100-100 სამიზნისთვის უნდა ესროლა. გუნდური ტურნირის შედეგებით უნდა შეერჩიათ 6 ადგილიდან და 5 მრგვალ სტენდზე საუკეთესო მსროლელი, მათს დავაში კი პირადი პირველობის საპრიზო ადგილების ბედი გაირკვეოდა.

საერთო გუნდური გამარჯვება და თასი დაისაკუთრეს რკინიგზელებმა — 599 ქულა 800-დან. II ადგილზე გავიდნენ არმიელ მონადირეთა საზოგადოების სპორტსმენები — 564, III — „განთიადის“ კოლექტივი — 523.

რკინიგზელ მესტენდურეთა წარმატება მრგვალ სტენდზე მოპოვებულმა კარგმა შედეგებმა განაპირობა. ლოკომოტიველებმა ამ სახეობაში 400 შესაძლებლიდან 320 ქულა მოაგროვეს და მასპინძლებს 31 ქულით აჯობეს, „განთიადი“ კი 212 ქულას დასჯერდა. სამაგიეროდ, „განთიადის“ ნაკრები ადგილიდან სროლაში იყო უძლიერესი — 311. რკინიგზელებს ამ გუნდის წევრებმა 42 ქულა მოუგეს, მაგრამ ეს საერთო წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა (II ადგილი აქაც არმიელებს დარჩათ — 295 ქულა).

აშკარაა, რომ რესპუბლიკის ნაკრების წევრებიც კი სეზონს სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდნენ. ერთადერთი სპორტსმენი, რომელმაც ამ ტურნირში სპორტის ოსტატის ნორმატივი აჩვენა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი თ. მატოიანი („განთიადი“) გახლდათ. პირველ დღეს მრგვალ სტენდზე სროლაში მან 100-დან 96 ქულა მოაგროვა.

ამ ვარჯიშში სპორტის ოსტატ ტ. ქლენტისგან („ლოკომოტივი“) მეტს მოველოდით, მაგრამ მან სტარტშივე გამოუსწორებელი მარცხი იწვნია — 50 შესაძლებლიდან 11 ქულა დაკარგა. მართალია, შემდეგ ქლენტი ბევრს ეცადა, მაგრამ 100-დან 85 ქულაზე მეტი მაინც ვერ მოაგროვა. მეორე დღეს პირადი ასპარეზობის ფინალში რკინიგზელმა ოსტატმა 94 ქულა აჩვენა და მატოიანს 3 ქულა მოუგო. საბოლოოდ გამარჯვება მატოიანს დარჩა — 187 ქულა. II ადგილზეა ქლენტი — 180, III — სპორტის ოსტატი თამაზ იმნაიშვილი („ლოკომოტივი“) — 177.

მატოიანმა ამ ტურნირამდე ამიერკავკასიის რესპუბლიკების გუნდების მატჩშიც (ერევანი) იმარჯვა: საქართველოს კოლექტივს ერთადერთი გამარჯვება იქ სწორედ მან მოუპოვა.

საქართველოს თასის გათამაშებაში უფრო ცუდი შედეგები ჰქონდათ ადგილიდან მსროლელებს. მართალია, სოხუმელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა კ. დარასელიამ („განთიადი“) პირველობა არ დათმო — 172 ქულა მოაგროვა, მაგრამ მისგან მეტს ველოდით. დარასელიას 3 ქულით ჩამორჩა ი. კონდრატიევი (არმიელ მონადირეთა საზოგადოება) და 11 ქულით — III ადგილზე გასული ა. ბუკია („ლოკომოტივი“).

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში, როცა დიდ სტარტამდე მხოლოდ სამი თვე რჩება, ასეთი შედეგები აშკარად დამაფიქრებელია. ეს სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაციის იქვე გამართულ სხდომაზეც აღინიშნა. ფედერაციის თავმჯდომარემ დ. მარგალიტაძემ მკაცრად გააკრიტიკა ნაკრების ხელმძღვანელობა და სპორტსმენები. ითქვა ისიც, რომ სპორტსაზოგადოებები თასის გათამაშებას გულგრილად მოეკიდნენ. „კოლმეურნეს“ სპორტის ოსტატები საკმაოდ ჰყავს, გუნდში კი სამი ახალბედა შეიყვანა. მსაჯთა კოლეგია სწორად მოიქცა, როცა ერთი მათგანი სროლისა და იარაღის ხმარების წესების უცოდინარობისთვის ასპარეზობიდან მოხსნა. „კოლმეურნის“ გუნდი არც ტურნირის დახურვას დაესწრო.

საყვედურის ღირსია „განთიადიც“. მრგვალ სტენდზე მსროლელთა გუნდი ამ საზოგადოებამ ოთხის მაგიერ სამი სპორტსმენით დააკომპლექტა, თანაც მესამე წევრად ადგილიდან სროლაში სპორტის ოსტატობის კანდიდატი მ. არუშანოვი შეიყვანა. ამ უკანასკნელმა 25-დან გატეხა... 8 სამიზნე. როგორც გამოირკვა, „განთიადმა“ ვერ შეძლო ბათუმიდან ჩამოეყვანა სპორტის ოსტატები ა. შუმილინი და ი. საიატოვი.

ფედერაციის სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ ნაკრების წევრთა ნაწილი წვრთნას გულგრილად, დაუდევრად ეკიდება, მეცადინეობებს აცდენს, მწვრთნელთა მითითებებს არ ასრულებს.

დარასელიას, ქლენტს, მატოიანს სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში მონდომებით (რაც არ გვეეჭვება) შეუძლიათ საუკეთესო შედეგებს მიაღწიონ, მაგრამ ნაკრების სხვა წევრებს მეტი შრომა მართებთ. სსრ კავშირის სპორტსმენთა დიდი ფორუმი კარს მოგვადგა. სასტენდო სროლის ყველა ოსტატმა რესპუბლიკის ინტერესების დასაცავად პირადი საქმე დროებით უნდა დაივიწყოს.

ჯ. მოწონელიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — სტარტით უკმაყოფილო დარასელია მორიგი გასროლისთვის ემზადება; მარჯვნივ — თ. მატოიანი.

თ. გელაშვილის ფოტო.

ჭადრაკი

თხუთმეტნი დარჩნენ

ახალქალაქი, 26 მარტი. საქართველოს ვაჟთა XXXII საჭადრაკო ჩემპიონატის V ტურში მხოლოდ გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი) — ე. მიქაელიანის (თბილისი) და ნ. შოგირაძე (ზუგდიდი) — მ. ლევინის (თბილისი) პარტიები გადაიდო. მიქაელიანსაც და ლევინსაც ზედმეტი პაიკი ჰქონდათ.

ა. ბოკუჩავა (თბილისი) — ლ. ნეურონოვის (ბათუმი) შეხვედრა 24 სვლით დამთავრდა. თბილისელმა ოსტატმა ფრანგულ დაცვაში მძლავრად დალაშქრა მეტოქის პოზიცია და გაიმარჯვა.

ნ. ჩახოიანი (თბილისი) — მ. არჩვაძის (სამტრედია) პარტიაში თავიდანვე რთული ბრძოლა გაჩაღდა. მეტოქენი ძნელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. საჭირო იყო წინდახედული თამაში. როგორც ჩანს, სირთულემ შეაკრთო მოასპარეზენი და ისინი ყაიმზე შეთანხმდნენ.

თბილისელმა დ. გედევანიშვილმა უკეთ წარმართა თამაში რთულ პოზიციაში გ. მუკნიაშვილთან (გორი) და უპირატესობაც მოიპოვა. გედევანიშვილი შემდგომშიც თანმიმდევრული, გეგმიანი იყო. მუკნიაშვილი დამარცხდა.

გ. ვეფხვიშვილმა (თბილისი) მოუგო რ. ესოიანს (ახალქალაქი).

ყაიმით დასრულდა ა. რაზოვსკი (ქუთაისი) — ზ. მიქაძის (თბილისი) შეხვედრა. მეტოქეები თავიდან არ მორიდებიან გართულებებს, მაგრამ, როცა უპირატესობა ვერც ერთმა ვერ მიიღო, ყაიმზე მოლაპარაკება დაიწყეს: ჯერ არ იყო თანახმა ერთი, მერე — მეორე. ბოლოს, 26-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ავადმყოფობის გამო ჩემპიონატს გამოეთიშა ოსტატი თ. გიორგაძე. ბრძოლას 15 მოჭადრაკე განაგრძობს.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ჩახოიანს ო. მანაშეროვთან (ხაშური) პაიკით ენდშპილში უპირატესობა ჰქონდა და გაიმარჯვა. მუკნიაშვილმა მეთოდურად გამოიყენა ზედმეტი ხარისხი და მოუგო ვეფხვიშვილს.

თბილისის ჩემპიონმა ლევინმა მეთოდურად გამოიყენა ზედმეტი პაიკი ეტლების ენდშპილში და მოუგო შოგირაძეს.

ამ დღეს შედგა აგრეთვე, არჩვაძე — ბიბილაშვილის II ტურიდან გამოტოვებული შეხვედრა. რთულ ბრძოლაში არჩვაძემ უკეთესი ენდშპილი მიიღო. პარტია გადაიდო. სამტრედიელ მოჭადრაკეს პერსპექტიული პოზიცია აქვს.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ბოკუჩავა, ჩახოიანი — 4,5-4,5 ქულა, რაზოვსკი — 3,5, მიქაძე — 2,5 (4-დან), მუკნიაშვილი, ლევინი — 2,5—2,5.

გუშინ საღამოს ახალქალაქის კომკავშირელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ჩემპიონატის მონაწილეებს.

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ. მასპინძლებმა ისინი ქართული კულტურის უძველესი ძეგლის ვარძიის დასათვალიერებლად წაიყვანეს.

ე. მელიქსეთ-ბეგი.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

ნორჩები ძალას არ იშურებენ

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გრძელდება საქართველოს მოსწავლეთა საჭადრაკო ჩემპიონატები. თითოეულ შეჯიბრებაში გათამაშდა 5 ტური.

გოგონათა ჩემპიონატში კვლავ ლიდერობს 10 წლის ქუთაისელი მ. ჩიბურდანიძე — 3,5 ქულა. III ტურში მან მ. ვაჩეიშვილთან (თბილისი) მოსაგებ პოზიციაში დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა. სამაგიეროდ, IV ტურში თბილისელ მ. წერეთელთან შეხვედრაში ჩიბურდანიძეს ბედმა გაუღიმა: მეტოქე შეცდა უკეთეს პოზიციაში და მაიამ გაიმარჯვა. V ტურში იგი ყაიმს დასჯერდა რ. ყიფიანთან (ქუთაისი) შეხვედრაში.

ლიდერს კვალში მიჰყვებიან წერეთელი, ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) — 3-3 ქულა.

ბიჭების ტურნირში დაწინაურდნენ თბილისელი ი. ეფიმოვი და ქუთაისელი ა. კლიმჩუკი — 4,5-4,5. საინტერესოა, რომ ყაიმით მათ ერთმანეთთან შეხვედრა დაამთავრეს. 3,5 ქულა მოაგროვა ზ. აზმაიფარაშვილმა (თბილისი).

ჭაბუკებში ლიდერობს ე. აფრიდონიძე (ქუთაისი) — 4 ქულა. მას ფეხდაფეხ მისდევენ მ. კაჭარავა, გ. მაჭარაშვილი და ზ. ზამბახიძე (სამივე — თბილისი) — 3,5-3,5.



• • •

სურათზე: მოჭადრაკე გოგონების — ქუთაისელი მ. ხანთაძისა (მარცხნივ) და თბილისელი მ. წერეთლის შეხვედრა.

ი. იუნაევის ფოტო.

ლიდერობენ კობაიძე და ოსტრი

„დინამოს“ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატში კიდევ სამი (IV-VI) ტური გათამაშდა.

თბილისელმა ოსტატმა ც. კობაიძემ IV ტურში მოუგო ესტონელ ჰ. ტალასს. პირველმა წაგებამ ისე იმოქმედა ესტონელ მოჭადრაკეზე, რომ V ტურში ი. ოსტრისთანაც (უკრაინა) დამარცხდა და ლიდერებს ჩამორჩა. V ტურში კობაიძემ მოუგო ვ. დრულეს (ლატვია). VI ტურში კობაიძე და ოსტრი შეხვდნენ ერთმანეთს. პარტია ყაიმით დამთავრდა და ორივე მოჭადრაკე ლიდერად დარჩა — 4,5-4,5 ქულა.

III ადგილზეა მოსკოველი ოსტატი ნ. ტიტორენკო — 5 ქულა. ნატაშამ ზედიზედ მოუგო ს. კალანდარიშვილს, ო. იახიოპულოს (ორივე — საქართველო) და ე. პეტუხოვას (ლატვია).

გ. ფამილიანტი (თბილისი),
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).
ლიეპაია.

რეკორდები

სოხუმი, 26 მარტი. „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ტყვიის მსროლელთა ჩემპიონატში ქალთა შორის პნევმატური პისტოლეტით შეჯიბრებაში მოსკოველმა ნ. იულინამ 600 შესაძლებლიდან 584 ქულა დააგროვა და სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა. პნევმატური შაშხანით სროლაში მოსკოველმა ნ. ზიბალოვამ და ტ. კომარისტოვამ (რსფსრ) იმარჯვეს. მათ ერთნაირი შედეგები (584 ქულა) მოიპოვეს და „დინამოს“ რეკორდსმენები გახდნენ.

კიევი, 25 მარტი. წყალქვეშა ცურვის ოსტატმა ვ. ლიხაჩოვმა 40 მ 14,6 წამში დაფარა, რაც 0,1 წამით უკეთესია მსოფლიო რეკორდზე. ამ ბრწყინვალე შედეგს ლიხაჩოვმა უკრაინის საუკეთესო სპორტკლუბების ნაკრები გუნდების შეჯიბრებაში მიაღწია, რომელიც კიევის სამხედრო ოლქის აუზში გაიმართა.

მწვერვალზე ქართული თხილამურებით

30 წლის წინათ მარტში ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით განხორციელდა სსრ კავშირში პირველი ზამთრის ასვლა თხილამურებით. მაშინ არაგაწზე მოლაშქრეთა ჯგუფში 9 ახალგაზრდა მთამსვლელი ქალი შედიოდა: მხატვარი ვერა ბელეცკაია (მოადგილე), მეცნიერ-მუშაკი დენიზა გოზალიშვილი (მოადგილე), ეკონომისტი ნატო ცნობილაძე, ინჟინერი ჰანა შენგელია, არქიტექტორი ეთერ ფალიაშვილი, სტუდენტი დები ირინე და ქეთევან კვლიშვილები, სამაშველო სამსახურის უფროსი ზელმა ბილხენი. აქვე იყო დამხმარე ჯგუფი ი. სესიაშვილისა და ა. გრძელიშვილის შემადგენლობით. მას შემდეგ ასეთი ასვლა აღარ განმეორებულა.

და აი, წლეულს, 5 მარტს, ჩვენი რესპუბლიკის მთამსვლელი ქალები ისევ ავიდნენ მწვერვალ არაგაწზე. ეს ღონისძიება მათ მიუძღვნეს საბჭოთა საქართველოს 50 და იმ პირველი ასვლის 30 წლისთავს. გთავაზობთ ამ ჯგუფის ხელმძღვანელის, საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპიური კლუბის სასწავლო ნაწილის უფროსის დ. გოზალიშვილის შთაბეჭდილებებს.

ამას წინათ წარმატებით დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის ქალთა ზამთრის ასვლა, რომელიც განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა (თავმჯდომარე დ. იოსელიანი) და მთამსვლელთა რესპუბლიკური ფედერაციის თაოსნობით ჩატარდა.

ჯგუფი დაკომპლექტებული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, კიბერნეტიკის ინსტიტუტების, გამოთვლითი ცენტრის, ბოტანიკის, გეოლოგიის, ბიოქიმიის ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის ნახევარგამტართა პრობლემური ლაბორატორიის ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომლებით, თანრიგოსანი მთამსვლელებით.

ჯგუფის წევრების უმრავლესობამ აკლიმატიზაცია გაიარა ბაკურიანში, რაც ასე აუცილებელია დიდ სიმაღლეზე მოკლევადიანი ასვლისთვის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ის, რომ მასობრივი ასვლის დროს მთამსვლელობის ისტორიაში პირველად უნდა გამოვეყენებინა ხალხური „თხილამურები“ (ასე უწოდებენ მათ საქართველოს მთიანეთში, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა თოვლსაბიჯები დაგვერქმია). ამრიგად, თავიდანვე უარყოფილი იქნა ჩვეულებრივი სპორტული გრძელი თხილამურები, რომლებიც 1941 წელს პირველი ასვლის დროს გამოვიყენეთ.

სვანური თხილამურის ყაიდაზე, იმავე ზომების დაცვით, დ. თბილაძის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით დამზადდა ალუმინის თხელი ფირფიტისგან რკალები და ჩვეულებრივი ტყავის თასმების მაგიერ კაპრონის წვრილი თოკით დაიბლანდა. ასეთი თხილამურები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში საქართველოში მოგზაურობის დროს აღწერა ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმა, ხოლო მის მიერ გამოცემულ ატლასში (მხატვარი გრელო) შეტანილია ქართველის ნახატი სურათი, რომელსაც სწორედ ასეთი თხილამურები აქვს ფეხზე ამოკრული. საქართველოში ასეთი სასიარულო თხილამურები ძველთაგანვე იყო ცნობილი. ამას მოწმობს ისიც, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში თხილამური განმარტებულია შემდეგნაირად: „გრკალი არს, ფერხთა დაიკურენ დიდთა თოვლთა ზედა სავლელად, რათა თოვლთა სიღრმესა არა ჩაიჭრან“.

ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე სპორტის ოსტატი ს. გვალია. მათ სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს ჩვენმა ეთნოგრაფებმაც.

სასიარულო თხილამურების განსხვავებული ფორმები გამოყენებული იყო ჩვენს მთიან რაიონებში, სადაც ზამთარში თოვლის საფარი საკმაოდ ღრმაა. მისი გამოყენება ადვილია თოვლით დაფარულ კლდოვან მონაკვეთებზეც, ზვავსაშიშ ადგილებში. სასიარულო თხილამურის მასობრივად დამზადება არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს. იგი კარგ სამსახურს გაუწევს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მომუშავეთ. ასეთ თხილამურებს განსაკუთრებით დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მთამსვლელებისთვის ზამთრის რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში.

ჩვენ განზრახული გვქონდა, რომ, ისევე როგორც პირველად, ასვლა სოფელ ბიურაკანიდან დაგვეწყო, ავსულიყავით „ყოშაბულაღში“, როგორც მას მაშინ უწოდებდნენ და სადაც ამჟამად ერევნის ფიზიკის ინსტიტუტს 2000 მეტრის სიმაღლეზე კოსმოსური სხივების შემსწავლელი ქვედა სადგური აქვს გაშენებული.

ერევნის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ა. ალიხანიანის და ჩვენი თანამემამულის, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორის, ლენინური პრემიის ლაურეატ თინათინ ასათიანის დიდი მონდომებითა და ხელის შეწყობით მთელი ასვლის მანძილზე ყურადღება არ მოგვკლებია. ჩვენი ზასვლის დღესვე სპეციალური მანქანებით გაასუფთავეს გზა კოსმოსური სხივების შემსწავლელ ქვედა სადგურამდე, რომელიც ნორამბერტის სახელს ატარებს (ამბერტი ძველი საშუალო საუკუნეების ციხე-სიმაგრეა, რომელიც ამ სადგურის მახლობლად მთის ბორცვზეა აშენებული. ქვედა სადგურის ორსართულიანი შენობის ფასადი ამ ციხეს მოგაგონებთ. და მას სომხურად ახალი ამბერტი ეწოდება).

სურათზე: მოლაშქრეთა ერთი ჯგუფი მწვერვალ არაგაწზე.

ნორამბერტში ყოფნა განსაკუთრებით საინტერესო და ნაყოფიერი იყო ჩვენი ფიზიკოსებისთვის, რომელნიც აქ გაეცნენ დიდ მაგნიტურ დანადგარს და სხვადასხვა ექსპერიმენტს. აქვე ვნახეთ თ. ასათიანისა და მისი კოლეგების მიერ შექმნილი ნაპერწკლოვანი კამერა. ნორამბერტში გათვალისწინებული იყო ორი დღით აკლიმატიზაცია, თხილამურების მორგება და პრაქტიკული ვარჯიში ღრმა თოვლში სასიარულოდ.

2 მარტს მხოლოდ ღამის 2 საათზე შეძლო გზის გაკვლევა ორმა ტრაქტორმა, რათა ზედა სადგურში ჩვენი საკვები და ბარგი აეტანა. კოსმოსური სხივების შემსწავლელი სამეცნიერო ზემო სადგური 3200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და აშენებულია მწვერვალის ძირას, იქ, სადაც 1941 წელს სამი ღამე ვათიეთ მეტეოსადგურის ორ პატარა ოთახში. ახლა აქ ადგილობრივი მორუხო ფერის ბაზალტისა და ტუფისგან ორსართულიანი სამეცნიერო ლაბორატორიებია აგებული. ხშირად ძლიერი ქარი იცის და ნისლის გამო თანამშრომლები მთელი კვირაობით არიან მოწყვეტილი „გარე სამყაროს“. ერთადერთი „საშველია“ რადიო, რომლითაც ისინი ნორამბერტსა და ერევანს უკავშირდებიან.

ამ სამეცნიერო სადგურში სომეხ მეცნიერებთან ერთად უმუშავიათ ჩვენს გამოჩენილ ფიზიკოსებს: გ. ჩიქოვანს, გ. მუსხელიშვილს, გ. მირიანაშვილსა და სხვებს, რომელთაც აქ დიდი სიყვარულით იხსენიებენ.

ზაფხულობით აქ სსრ კავშირისა და უცხოეთის მეცნიერი ფიზიკოსები ჩამოდიან, როცა მწვერვალზე ასვლა სიძნელეს არ წარმოადგენს და მას საკავშირო კლასიფიკაციით პირველი კატეგორია აქვს მინიჭებული. მაგრამ ზამთარში ყველაფერი იცვლება.

მწვერვალი არაგაწი (ალაგიოზი), რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 4095 მეტრია, ერევნიდან კარგად ჩანს. იგი მდებარეობს მცირე კავკასიონზე და წარმოადგენს ჩამქრალ დიდ ვულკანურ მასივს, ღრმა კრატერით, ოთხი კლდოვანი მწვერვალით. არაგაწი სომხეთის ზეგნის ყველაზე მაღალი კონუსია. მისი ფერდობები ჩამონაღვენთი ლავაა, რომელსაც 6 ათასი კვ მეტრი უჭირავს. კრატერზე ზამთარში გადმოკიდებული თოვლისა და ყინულის ლავვარდნები დიდ საშიშროებას ქმნის. ზამთრის ნისლიან დღეებში ხშირად მხედველობის არე 5 მეტრსაც არ აღწევს. თუ ამას დავუმატებთ ღრმა თოვლს, მუდმივ ქარებს, ყინვას და მიკროკლიმატს, გასაგები იქნება ის სიძნელეები, რაც ამ მწვერვალზე ასვლას ახლავს ზამთარში.

3 მარტს ჯგუფი ზედა სადგურში ავიდა. ორი ღამის განმავლობაში ქარი მძვინვარებდა. შენობიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო. ბოლოს ნისლმა ზევით აიწია და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გამოჩნდა. ზედა სადგურში ჩვენთან იყო ექიმი, რომელიც ყოველ მონაწილეს თვალყურს გვადევნებდა. მეორე დღეს ცუდად შეიქნა მოსკოველი ჟურნალისტი ქალი, რომელიც ჩვენს ჯგუფს ახლდა — მთის ავადმყოფობის დამახასიათებელი ნიშნები აღმოაჩნდა. სასწრაფოდ იქნა მიღებული ზომები მისი ქვემოთ დაშვებისთვის. მწვერვალზე ასვლა 5-6 მარტს იყო განზრახული.

5 მარტს დილით ჯგუფი მზად იყო სალაშქროდ. თერმომეტრი მინუს 17 გრადუსს უჩვენებდა, ქარის სისწრაფე წამში 12-15 მეტრი იყო.

„ვიბრამის“ ფეხსაცმელებზე თხილამურები გვქონდა ამოკრული. თბილი შარვლებითა და ქურქებით (რაზეც წინასწარ იზრუნა ალპიური კლუბის სამეურნეო ნაწილის უფროსმა მ. კომახიძემ), სახეზე შალის ჩაფხუტებითა და შავი სათვალეებით ნელა ვიწყებთ მოძრაობას. შორიდან ალბათ მთვარეზე მოხვედრილ კოსმონავტებს ვგავართ. ირგვლივ მხოლოდ თოვლია. ხშირად ვისვენებთ, წესისამებრ, ზურგით დაქანებული ფერდობისკენ ვდგებით და მაშინ ჩვენს თვალწინ იშლება საოცრად მომხიბლავი სურათი: ცის ლურჯ ტატნობზე ჩვენს ქვევით დათოვლილი მწვერვალების უწყვეტი ჯაჭვია, უფრო ქვევით — არაქსის ველზე თეთრი ღრუბლების ქულათა უძირო ზღვა. ცაში ატყორცნილი პატარა და დიდი არარატის მწვერვალები ნაზი ვარდისფერი საბურველით ჯადოსნურ სურათს ქმნიან.

მართალია, ყინვა ზევით უკვე მინუს 23 გრადუსია, ქარიც სახეში გვაყრის თოვლს, ფეხისა და ხელის თითები გვეყინება, მაგრამ თვალს მაინც ვერ ვაშორებთ ამ განუმეორებელ სილამაზეს.

სიმაღლე მატულობს. უფრო ხშირად ვისვენებთ. უკვე წინ მიდის უფროსის მოადგილე, იერიშის ხელმძღვანელი, პირველთანრიგოსანი ლუიზა ნარიმანიშვილი, რომელსაც ასვლების საკმაო გამოცდილება აქვს. ამ ასვლაში „ძველი“ თაობის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ, რომელნიც კვლავ დაუბრუნდნენ მთამსვლელობას. მაგალითად, ლამარა ნებიერიძეს კავკასიონის III და IV კატეგორიების სირთულის მწვერვალები აქვს დაძლეული; შემდეგ — საკანდიდატო დისერტაცია, არქეოლოგია, ორი შვილი და ოჯახი. ახლა იგი ისევე მხნედ და შემართებით მიიწევს ზევით, როგორც წინათ, დარწმუნებული თავის ძალაში. მეორეთანრიგოსნები არიან უნივერსიტეტის მთამსვლელთა სექციის გამოზრდილები, გეოლოგი ნუნუ ლაცაბიძე და ფიზიკოსი ლილი გვარჯალაძე, მესამეთანრიგოსნები: ქეთინო ტატიშვილი — გამოთვლითი ცენტრიდან, ნუნუ გოგიშვილი — ბოტანიკის ინსტიტუტიდან, ბიოქიმიკოსი ცისანა ჩაჩუა, მანანა ჯიბუტი — კიბერნეტიკის ინსტიტუტიდან; ფიზიკოსები, ნიშნოსნები — ცისანა ჩიჩუა და ქეთევან ედილაშვილი.

ჩვენს ჯგუფში სამი ახალბედაც არის კინოქრონიკიდან. ლენა ჭავჭავაძე სინანულს გამოთქვამს, რომ ამ სილამაზეს ჩვენთან ერთად ვერ ხედავენ მისი მეუღლე, მთის მეხოტბე მურმან ლებანიძე და მათი ორი შვილი. ინჟინერი გულიკო მაცხონაშვილი მონდომებით და ძალით არავის ჩამორჩება. კინოოპერატორი გლებ კრეპსი მესამე მამაკაცია ჯგუფში. ნათლობას მთაში ჩვენთან იღებს. მამის — ბორის კრეპსის მსგავსად ისიც თავის შემოქმედებას მთამსვლელობას უკავშირებს. სომხეთიდან სამი კაცი შემოგვიერთდა იერიშის წინ: ორი ფიზიკოსი და ჩვენი ექიმი.

ბოლოს ორიოდე სიტყვა დამხმარე ჯგუფზე — სპორტის დამსახურებულ ოსტატ დ. ობოლაძეზე და ახალგაზრდა ფიზიკოსზე, თანრიგოსან რ. ცაგარელზე. მათ ბევრი იშრომეს, რათა ჩვენი ასვლა დაცული ყოფილიყო ყოველგვარი მოულოდნელობისგან, რაც ასე ხშირად იცის მთამ. ისიც ძალიან გვიხაროდა, რომ თხილამურებმა გაამართლა დანიშნულება. ზამთარში მწვერვალზე ასვლისას სპორტულ თხილამურებთან შედარებით მათი უპირატესობა აშკარა გახდა.

ჯგუფი მწვერვალზე იერიშს 6 საათს მოუნდა. მეორე დღეს ყველანი ქვემოთ ვეშვებით. ქათქათა თოვლი თვალს გვჭრის. ალაგ-ალაგ მოწითალო-მოყვითალო ფერის ლაქებს ვამჩნევთ. ეს ამ ადგილებისთვის ცნობილი მოვლენა ყოფილა: ზამთარში ციკლონს საჰარის უდაბნოდან ყვითელი სილა და მიკროორგანიზმები გადმოაქვს.

ნორამბერტში ერევნიდან ამოსული ფიზიკოსები გვხვდებიან მანქანით. ბიურაკანში ვეშვიდობებით 1941 წლის მეტეოსადგურის თანამშრომლებს, რომელთაც ყველა ჩვენგანის სახელი კარგად ახსოვთ, განსაკუთრებით კი ალექსანდრასი. ჩვენი მაშინდელი გამყოლის არამაისის ოჯახი გვიმასპინძლდება სომხური ლავაშებით და კერძებით. ისევ ძველი გზით, აშტარაკანის გავლით ვბრუნდებით ერევანში.

შემდეგ დღეებში ჩვენი მასპინძლები გვათვალიერებინებენ ერევანს, ეჩმიაძინს, ზვართნოცს, რიფსიმესა და გაიანეს ტაძრებს, ახალ არქიტექტურულ ანსამბლს სარდარაბადს. ვესწრებით ქართველ კომპოზიტორთა კონცერტს.

... თბილისის რკინიგზის სადგურში სხვებთან ერთად გვხვდება ალექსანდრა ჯაფარიძე, რომელიც აღფრთოვანებას ვერ ფარავს ჩვენი წარმატებით, დაწვრილებით გვეკითხება არაგაწის ამბებს, სინანულს გამოთქვამს, რომ ჩვენთან არ იყო. სინამდვილეში ალექსანდრა სხვა პირველ ამსვლელ ქალებთან ერთად ჩვენთან იყო, ყოველ ნაბიჯზე გვახლდა, როგორც ქართველი ქალის სიმტკიცის, გამბედაობისა და სიმამაცის მაგალითი.

დენიზა გოზალიშვილი.

ბარაქალა თქვენ, ქალებო!

წრფელი გულით ვულოცავ ჩვენს სახელოვან მთამსვლელ ქალებს, რომლებმაც დ. გოზალიშვილის ხელმძღვანელობით ზამთრის პირობებში დალაშქრეს არაგაწის მწვერვალი.

სასიამოვნოა, რომ ასვლის დროს ამჯერად გამოყენებული იყო არა სახრიალო, სპორტული, არამედ თოვლზე სასიარულო ქართული თხილამურები.

ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე ჰქონდა რამდენიმე სახის თხილამური, რომლებიც დამოწმებულია ძველი ბერძენი ავტორების (სტრაბონი) და შუა საუკუნეების ევროპელი მოგზაურების (შარდენი) მიერ. ძველ საქართველოში თოვლზე სასიარულო თხილამურებს სამხედრო მიზნითაც იყენებდნენ, რამდენადაც ვიცით, იგი გამოყენებული იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, კავკასიონის მისადგომებზე (აჭარული ხახეობა).

ქართული თხილამურების მდიდარი კოლექცია დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდში. მათგან ერთი ნაწილი მუზეუმში შესულია ჯერ კიდევ 1868 წელს. აქ ინახება სვანური, ხევსურული, აჭარული, რაჭული, აფხაზური და სხვა თხილამურები, რომლებიც თავისი ფორმითა და გამოყენების მიხედვით ერთურთისგან ბევრად არ განსხვავდებიან.

როგორც ლაშქრობამ გვიჩვენა, ტრადიციული თხილამურები დღესაც პრაქტიკულად გამოსაყენებელი ყოფილა.

ვულოცავთ ჩვენს მთამსვლელ ქალებს ამ ორმაგი მნიშვნელობის გამარჯვებას და ვუსურვებთ ახალ წარმატებებს.

ბ. ჩიტაია,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

კიდევ ერთი დადასტურება

ქართველ მეცნიერ მთამსვლელ ქალთა საზამთრო ასვლა მწვერვალ არაგაწზე უაღრესად საინტერესო იყო. უნდა აღინიშნოს ჯგუფის მაღალი დისციპლინა და ურთიერთგაგება, რამაც დიდად შეუწყო ხელი გამარჯვებას. ამავე დროს, ეს იყო არა მარტო წმინდა სპორტული ასვლა, არამედ ხალხურ ტრადიციებზე დამყარებული გამოცდილების პრაქტიკულად გამოყენების ცდა მთამსვლელობაში, რამაც საუკეთესო შედეგი მოგვცა.

ამ გასვლამ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ერთხელ კიდევ დაადასტურა მოძმე ხალხების ურთიერთპატივისცემა და მეგობრობა. ამავე დროს, ეს რთული ლაშქრობა ჩვენი მთამსვლელი ქალების დიდ შესაძლებლობათა კიდევ ერთი დადასტურებაც იყო.

ვუსურვებთ მათ შემდგომ წარმატებებს.

დ. ობოლაძე,

დამხმარე სამაშველო ჯგუფის უფროსი.

შეკეთ, შეკეთ შენდა ვთამაშობდეთ

თბილისი. სპორტის სასახლე. 24 მარტი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ფენიქსი“ (ქ. ესენი, გფრ) 22:20 (12:9).

მსაჯები: ვ. ელგუჯაური და ჯ. აბშილავა (ორივე — თბილისი).

სულ ახლახანს თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის I წრე. განვლილ ტურნირში თბილისელებმა ისე უნიათოდ და უხეიროდ ითამაშეს, რომ სპორტული საზოგადოებრიობის სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურეს. მათ შესახებ ბევრი კრიტიკული შენიშვნა დაიბეჭდა პრესაში, გამოითქვა შეშფოთება, რომ თუ გუნდი ასე გააგრძელებს თამაშს, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში მისი გამოსვლა მაინცდამაინც სასიკეთო შედეგს ვერ მოგვიტანს. ბუნებრივია, ორიოდე დღეში რაიმე მნიშვნელოვანი გარდაქმნების იმედი არავის ჰქონდა, მაგრამ იმას მაინც მოველოდით, რომ ჩვენი ხელბურთელები საერთაშორისო შეხვედრაში უფრო მეტი პასუხისმგებლობით, მეტი მობილიზებით ითამაშებდნენ. მით უმეტეს, რომ მათი მეტოქე — „ფენიქსი“ არცთუ დიდ ძალას წარმოადგენდა. მკითხველმა უკვე იცის, რომ „ბურევესტნიკმა“ ეს მატჩი მოიგო 2-ქულიანი სხვაობით და, შეიძლება შემოგვედავოს, რაღას ერჩით გუნდს, რომელმაც საერთაშორისო შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვაო.

მოგებაც არის და მოგებაც. თბილისელებმა ამ მატჩში გამარჯვებას იმით მიაღწიეს, რომ „ფენიქსი“ მათზე ერთობ სუსტი აღმოჩნდა. ამას თავი დავანებოთ, მეტოქეები თავიანთი ნაკლის ანაზღაურებას უხეშობითა და გაუთავებელი აპელაციებით ცდილობდნენ, თბილისელებმა კი უხეშობას უხეშობით, ხოლო აპელაციებს აპელაციებით უპასუხეს. ამიტომ იყო თამაში ერთობ უსიამო საყურებელი. ერთი სიტყვით, ამ მატჩში ტექნიკური თამაშისა და გააზრებული ტაქტიკის ნიშანწყალიც ვერ ვიხილეთ. მასპინძლებს ზედმეტი თვითდაჯერებით რომ არ ემოქმედათ და სათამაშო დისციპლინა მაღალ დონეზე ჰქონოდათ, გერმანელთა საშუალო ძალის გუნდს იოლად დაამარცხებდნენ.

„ფენიქსში“ თამაშობდა ერთი რუმინელი (კოსტაკე — № 9, რუმინეთის ნაკრების ყოფილი წევრი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი) და ორი იუგოსლაველიც (ანდრიჩი — № 8, და კოტლასი — № 11). გუნდის მწვრთნელია რუმინეთის ნაკრების ყოფილი წევრი მ. ივანესკუ. ეს ივანესკუც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია. როგორც ჩანს, რუმინელმა მწვრთნელმა ამ გუნდში სამი სხვადასხვა სტილის (გერმანულის, რუმინულისა და იუგოსლავურის) შერწყმა ვერ მოახერხა და ამიტომაც ვერ დატოვა ამ კოლექტივის თამაშმა კარგი შთაბეჭდილება.

მეორე ტაიმის მე-15 წუთზე, როცა წინ თბილისელები იყვნენ (17:16), ცერცვაძე უხეში თამაშისთვის მოედნიდან 5 წუთით გააძევეს. სწორედ ამ 5-წუთიან მონაკვეთში, როცა რიცხობრივი უპირატესობა გერმანელთა მხარეს იყო, მასპინძლებმა არათუ შეინარჩუნეს მცირე უპირატესობა, გაზარდეს კიდეც იგი. მოედანზე ცერცვაძის დაბრუნებისას ანგარიში იყო 20:18 თბილისელთა სასარგებლოდ. სწორედ ამ პერიოდში ითამაშეს თბილისელებმა შედარებით გააზრებულად და დინჯად.

თბილისელთაგან გოლების ავტორები არიან ცერცვაძე (7), ქუმსიშვილი ბუნაძე, ფხაკაძე (3-3), აბესაძე, გ. ზერიაშვილი (2-2), ფხალაძე და გაზდელიანი (თითო გოლი). აქვე შევნიშნავთ, რომ ცერცვაძემ ექვსი 7-მეტრიანი საჯარიმოდან 5 კარგად გამოიყენა, გ. ზერიაშვილმა — ორიდან 1. გერმანელთა გუნდიდან გოლები გაიტანეს ანდრიჩმა (7), პატრიგმა (6), კოტლასმა (3), ჰილებრანდმა, ვეისმა, კოსტაკემ და კიუპნმა (თითო გოლი).

ჯ. ენუქიძე.

ხ ე ლ ბ უ რ თ ე ლ თ ა მატჩის მომენტი „ფენიქსის“ კართან.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ალჟირი, 26 მარტი. „ტურ დ'ალჟირის“ მრავალდღიანი ველორბოლის VIII ეტაპი (117 კილომეტრი) საბჭოთა სპორტსმენმა ა. სტარკოვმა მოიგო. საერთო გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ველოსიპედისტები ლიდერობენ — 85:40,46. II ადგილზეა შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული პოლონეთის ნაკრები — 85:59.37, III — გდრ-ს კოლექტივი — 86:00.49. პირად ასპარეზობას სათავეში მოექცა პოლონელი რ. შურკოვსკი. ვ. კოსორევი (სსრ კავშირი) მას 26 წამით ჩამორჩება.

ჩემპიონობამ აცდუინა

რიგა, 25 მარტი. მას შემდეგ, რაც ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვება გაინაღდეს, მოსკოველმა არმიელებმა გუშინ წააგეს ალმა-ათის „ბურევესტნიკთან“ — 0:3. ვოროშილოვგრადის „ზვეზდამ“ დაამარცხა ხარკოვის „ბურევესტნიკი“ — 3:0. ერთნაირი შედეგით (3:1) დამთავრდა ორი შეხვედრა: მოსკოვის „ბურევესტნიკმა“ მოუგო აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის (ბაქო) გუნდს, ხოლო როსტოვის ასკ-მ—ტალინის „კალევს“.

ლენინგრადი, 25 მარტი. ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატში გუშინ გამართულმა შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „ნევთჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (კრასნოდარი) 2:3; „ბურევესტნიკი“ (კიევი)—„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:3; „ბურევესტნიკი“ (ოდესა) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 3:0. დღეს გაიმართა მეორე ტურის მატჩები: „ბურევესტნიკი“ (ოდესა) — „დინამო“ (კრასნოდარი) 3:1; ცსკა—„ნევთჩი“ 3:1; „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (კიევი) 3:1.

ნახევარფინალში გავიდნენ...

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს: „აიაქსმა“ (ჰოლანდია), „ატლეტიკომ“ (ესპანეთი), „ცრვენა ზვეზდამ“ (იუგოსლავია) და „პანათინაიკოსმა“ (საბერძნეთი).

ჰოლანდიელებმა გლაზგოში წააგეს შოტლანდიის „სელტიკთან“ (0:1), მაგრამ მათ შინ მოგებულ მატჩში ბურთების სოლიდური მარაგი ჰქონდათ — 3:0.

იუგოსლავიელებმა გდრ-ის ჩემპიონ „კარლ-ცაისს“ უმასპინძლეს, ძალიან ძლიერად ითამაშეს და დიდი ანგარიშითაც დაამარცხეს მეტოქე — 4:0 (პირველი მატჩი გერმანელებს იენაში მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 3:2).

პოლონეთის „ლეგიამ“ თავის მინდორზე რევანში აიღო მადრიდის „ატლეტიკოსთან“ (2:1), მაგრამ ვინაიდან პირველი შეხვედრის ანგარიში მადრიდში 1:0 იყო „ატლეტიკოს“ სასარგებლოდ, უპირატესობა მიენიჭათ მადრიდელებს მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთისთვის (დებულების თანახმად, იგი ორმაგად ფასდება).

ნახევარფინალში პირველად გავიდნენ ბერძენი ფეხბურთელები. „პანათინაიკოსმა“ სიურპრიზი მოახდინა ინგლისში, როცა იქაურ „ევერტონთან“ ფრედ ითამაშა — 1:1. განმეორებითი მატჩიც ფრედ დამთავრდა, მაგრამ ისე, რომ არც ერთი კარი არ ყოფილა აღებული — 0.0. მეტოქის მინდორზე გატანილმა ბურთმა ბერძნებს წარმატება მოუტანა.

გამოვლინდა თასების მფლობელთა თასის გათამაშების 3 ნახევარფინალისტი: „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია), „ჩელსი“ (ინგლისი), „რეალი“ (ესპანეთი). ამ ეტაპის მეოთხე მონაწილე გაირკვევა 31 მარტს კოპენჰაგენში, სადაც მესამედ შეხვდებიან ერთმანეთს ინგლისის „მანჩესტერ-სიტი“ და პოლონეთის „გურნიკი“. ორივე წინა შეხვედრა დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 2:0 და 0:2.

ბელგიის „ბრიუგეს“ ინგლისის „ჩელსისთან“ შეხვედრის წინ უპირატესობა ჰქონდა (2:0), მაგრამ ინგლისელებმა განმეორებითი შეხვედრის ძირითადი დრო ასეთივე ანგარიშით მოიგეს, დამატებითში კი კიდევ 2 ბურთი გაიტანეს — 4:2, ესპანეთის „რეალს“ „კარდიფ სიტისთან“ უელსში წაგებული ჰქონდა ანგარიშით 0:1, შინ კი რევანში აიღო ანგარიშით 2:0.

გდრ-ის „ფორვერტსმა“, თუმცა გაიმარჯვა ჰოლანდიის „ეინდჰოვენთან“ (1:0), მაგრამ წინა შეხვედრა წაგებული ჰქონდა ანგარიშით 0:2 და ნახევარფინალშიც „ეინდჰოვენი“ გავიდა.

ვეტერანის სახელობის პრიზზე

1:1

25 მარტს ფოთში გაიმართა შ. მავგულიძის სახელობის პრიზის მატჩი ადგილობრივი „კოლხეთისა“ და გორის „დილის“ ფეხბურთელთა შორის.

დასაწყისი საკმაოდ უინტერესოდ მიმდინარეობდა. პირველი სახიფათო მომენტი შეიქმნა 22-ე წუთზე, როცა გორელთა მეკარე კირვალიძეს მოუხდა ძნელი ბურთის აღება კვარაცხელიასგან. მცირე ხანს შემდეგ „კოლხეთის“ კარი ძელმა იხსნა. 37-ე წუთზე „დილამ“ გაითამაშა კომბინაცია (კაპანაძე-ბაქრაძე) და ბურთი მასპინძელთა კარში აღმოჩნდა — 1:0.

შესვენების შემდეგ უპირატესობა „კოლხეთმა“ აიღო ხელთ, მაგრამ სტუმრები კარგა ხანს წარმატებით იცავდნენ თავს. საპასუხო ბურთი მაინც იქნა გატანილი. 72-ე წუთზე კვარაცხელიამ კარგად მიიღო სანაიას გადაცემა და აღადგინა თანაფარდობა — 1:1.

ზ. ბასილაია,

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

1:0

ბათუმის „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ შეხვედრამ, რომელიც ბათუმის სტადიონზე შედგა, დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის მოყვარულთა შორის. ჯერ ერთი, ეს გუნდები ლიდერობენ პრიზის გათამაშებაში, მეორეც — I წრეში „მეტალურგმა“ თავის მინდორზე სასტიკი მარცხი აგემა დინამოელებს — 4:0 და, რა თქმა უნდა, მასპინძლები რევანშის გრძნობით იყვნენ გამსჭვალული.

ინტერესი სავსებით გამართლდა. მატჩი მიმდინარეობდა ძალზე დაძაბულად, ხშირ ორმხრივ იერიშებში და ორივე გუნდმა, როგორც გამარჯვებულმა, ისე დამარცხებულმაც, აჩვენა მონდომებული, კოლექტიური, კვალიფიციური თამაში.

დასაწყისი მასპინძელთა სრული უპირატესობით აღინიშნა. „მეტალურგის“ კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. ჯერ მეკარე ჩლაიძემ გადაარჩინა კარი ქორიძის დარტყმის შემდეგ, მალე ილურიძემ ვერ შეძლო ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება, რამიშვილმა კი ძელს მოახვედრა ბურთი.

34-ე წუთზე ქიქავამ მიიღო ილურიძის გადაცემა და ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ ბურთი აცდა მიზანს. ორიოდე წუთის შემდეგ ქიქავა კვლავ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა. ფორვარდის დარტყმა ამჯერად ზუსტი იყო — 1:0.

შესვენების შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა, თუმცა ორივე გუნდი მთელი მონდომებით იბრძოდა ანგარიშის შესაცვლელად.

ო. მურვანიძე,

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სსრ კავშირის თასზე

0:0

25 მარტს სოჭში შედგა სსრ კავშირის თასის პირველი მერვედფინალური მატჩი ვოროშილოვგრადის „ზარიასა“ და ალმა-ათის „ყაირათს“ შორის. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

რედაქტორი მ. პაპაშაძე.

მოზარდთა შეჯიბრება

გრძელდება მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობა. 23 მარტს შედგა გათამაშების III ტური: „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი) 0:1, „დილა“ (გორი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 1:4, „ინტერნატი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:2, „დინამო“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:0, „დინამო“ (სოხუმი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:0, განათლების განყოფილება (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 6:1, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (გაგრა) — „დინამო“ (ბათუმი) 2:1.

ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის ყველაზე მეტი ბურთი ჯერჯერობით გატანილი აქვს თბილისის „ინტერნატის“ თავდამსხმელს გ. ჯოჯუას — 5. 3-3 ბურთი გაიტანეს თ. მაჭავარიანმა („კოლხეთი“, ფოთი) და გ. კრავჩენკომ (განათლების განყოფილება, თბილისი).

გუნდების მდგომარეობა გათამაშების ცხრილში 3 ტურის შემდეგ ასეთია:

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ახ. საფ. სკოლა (თბილისი)	3	3	0	0	7—1	6
„დინამო“ (თბილისი)	3	2	1	0	4—0	5
„ინტერნატი“ (თბილისი)	3	2	1	0	7—3	5
ახ. საფ. სკოლა (გაგრა)	3	2	1	0	3—1	5
განათ. განყ. (თბილისი)	3	1	2	0	6—1	4
„ტორპედო“ (ქუთაისი)	3	1	2	0	4—2	4
„დინამო“ (ბათუმი)	3	1	1	1	1—2	3
„განთიადი“ (თბილისი)	3	1	1	1	1—2	3
„დინამო“ (სოხუმი)	3	1	0	2	2—1	2
„კოლხეთი“ (ფოთი)	3	1	0	2	6—6	2
„მეტალურგი“ (რუსთავი)	3	1	0	2	3—3	2
„მერცხალი“ (მახარაძე)	3	1	0	2	2—6	2
ახ. საფ. სკოლა (თელავი)	2	0	1	1	2—3	1
„მეშახტე“ (ტყიბული)	2	0	1	1	2—4	1
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	3	0	1	2	0—3	1
„დილა“ (გორი)	3	0	0	3	2—12	0

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

27 მარტი

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასის გათამაშება

„დინამო“ (მოსკოვი) — „ნევთჩი“ (ბაქო)

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

ბილეთები გაიყიდება 27 მარტს 12 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ორგანიზაციების საყურადღებოდ: 30 მარტიდან შეწყვეტილი იქნება ფასიანი აბონემენტების გაყიდვა ორგანიზაციებში.

თბილისის სპორტული კვირეული

ფეხბურთი. 28 მარტი. საქართველოს პირველობა. „ლოკომოტივის“ საწვრთნელი ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „გიგანტი“ (ლაითური). დასაწყისი 17 ს. „ისნის“ სტადიონი. „ისანი“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური). დასაწყისი 15 ს. „ლოკომოტივის“ სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი). დასაწყისი 15 ს. „სინათლის“ სტადიონი. „სინათლე“ (თბილისი) — „შუქურა“ (ქობულეთი). დასაწყისი 15 ს. „სინათლის“ სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი). დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. უე 02776